



9001/3-122/21 2 27082021



9001/3-122/21
27-08-2021

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი განცხადება მიიღეთ მიწის რეგისტრაციაზე 2016 წლიდან დღემდე? რამდენის წარმოება შეწყდა ან შეჩერდა? რამდენი გასაჩივრდა? (რეგიონების მიხედვით)
2. რომელი რეგიონი ლიდერობს მიწის რეგისტრაციის მოთხოვნით? (სრული სტატისტიკა 2016 წლიდან დღემდე)
3. რომელი ტიპის მიწის ნაკვეთზეა რეგისტრაციის მაღალი მოთხოვნა?
4. 2020 წლის 1 იანვრიდან რამდენმა ადამიანმა ისარგებლა მიწის რეგისტრაციისას უფასო სერვისებით? (რეგიონების მიხედვით)

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010170820158121

№14453

03 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ დავით ხაჯიშვილს

ბატონო დავით,

თქვენი 2021 წლის 27 აგვისტოს №9001/3-122/21 მომართვის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. მიწის რეგისტრაციის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი აგვისტოდან 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია 1 945 259 სარეგისტრაციო განცხადება (სარეგისტრაციო წარმოებების სტატუსებისა და გასაჩივრების თაობაზე რეგიონულ ჭრილში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია იხ. დანართი, გვ. 1 და 2);
2. სარეგისტრაციო განცხადებების მომართვიანობით ლიდერობს იმერეთის რეგიონი (იხ. დანართი, გვ. 1);
3. მიწის რეგისტრაციის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, დაინტერესებული პირების მხრიდან მომართვიანობა მაღალია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე უფლების რეგისტრაციაზე (იხ. დანართი, გვ. 3);
4. 2020 წლის პირველი იანვრიდან სექტემბრის მდგომარეობით, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილი რეგისტრაციის გამარტივებული წესით ისარგებლა 567 000-მდე პირმა (იხ. დანართი, გვ. 4);

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, უფლებათა რეგისტრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები პროაქტიულად ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://napr.gov.ge/chart>) და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი (Excel)

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე

